ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 03 ივნისის მორიგი სხდომის

დღის წესრიგი

1. ა(ა)იპ "კულტურის და ხელოვნების ცენტრის“ ხელმძღვანელის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: მამუკა ჭიპაშვილი

2. ა(ა)იპ სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის“ ხელმღვანელის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: რევაზი შერგელაშვილი

3. „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

ვარლამ ჭიპაშვილი

4. ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ'' ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 სექტემბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 03 ივნისის მორიგი სხდომის

ოქმი N8

2024 წლის 03 ივნისი

დაბა ხარაგაული

9 აპრილის ქუჩა #15

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: დავით კიკნაძე, ამირან ოქრომჭედლიძე, ოთარ ლურსმანაშვილი, მარინე ხვედელიძე, ბესიკ კვირიკაშვილი, პავლე კიკალიშვილი, შმაგი ხიჯაკაძე, შალვა ლურსმანაშვილი, ნონა ზურაბიანი, ირმა ვაქერ - სებისკვერაძე, უშანგი ბერაძე, კიაზო გამრეკელაშვილი, ვერა ოდიკაძე, მერაბ ტალახაძე, დოდო ხაჩიძე, იამზე პაქსაშვილი, ლენა აბაშიძე, გოჩა გიორგიძე, ვახტანგ ტალახაძე, ავთანდილ ვეფხვაძე, ავთანდილ კვინიკაძე, ეკატერინე შველიძე, ირმა ვეფხვაძე, კონსტანტინე ბერაძე, ომარი გაგოშიძე სულ საკრებულოს 26 წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენლები:

ვარლამ ჭიპაშვილი მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე,

კახაბერ გოლუბიანი მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი,

მამუკა ჭიპაშვილი ა(ა)იპ „ **კულტურის და ხელოვნების ცენტრის**“ ხელმძღვანელი,

რევაზი შერგელაშვილი ა(ა)იპ „ სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის“ ხელმძღვანელი.

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლენა კალანდაძე საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზაალ ორბელაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში,

ნინო თხელიძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

ივანე ჭიპაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე,

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

თ. მაღრაძე ა (ა) ი, პ. მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის თანამშრომელი,

ა. ნიქაბაძე ა (ა) ი, პ. მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის,

ი. ბერაძე მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი,

ნ. კაპანაძე გაზეთ „ჩემი ხარაგაულის“ ჟურნალისტი,

ს. გლუნჩაძე ოპერატორი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, მან საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის შემდეგი დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1. ა(ა)იპ "კულტურის და ხელოვნების ცენტრის“ ხელმძღვანელის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: მამუკა ჭიპაშვილი

2. ა(ა)იპ სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის“ ხელმღვანელის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: რევაზი შერგელაშვილი

3. „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

ვარლამ ჭიპაშვილი

4. ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ” ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 სექტემბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 26 წევრი.

მომხრე 26

წინააღმდეგი

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი-ს **"კულტურის და ხელოვნების ცენტრის“ ხელმძღვანელის მამუკა ჭიპაშვილის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ** “ (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

მ. ხვედელიძემ საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, მან აღნიშნა, რომ კომისიის სხდომაზე განვიხილეთ აღნიშნული ანგარიში საკმაოდ მასშტაბური ღონისძიებებია ჩატარებული, წარმატებებს ვუსურვებ, ა(.ა) ი.პ -ის საქმიანობას კომისია აფასებს დადებითად.

ო. გაგოშიძემ ფრაქცია „ხარაგაულისთვის“ თავმჯდომარის მოადგილემ კითხვით მიმართა მომხსენებელს წინა წლების პრობლემებიდან რა გაკეთდა?

მ. ჭიპაშვილმა მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკები აღვადგინეთ, მართალია მიზერული ხელფასებით, მარგამ წიგნადი ფონდი შევინარჩუნეთ, კვლავ გვაქვს ინფრასტრუქტურის კუთხით პრობლემები, ეს ყოველთვის იყო და იქნება. იგეგმება კულტურის ცენტრის სრული რეაბილიტაცია, რაც შეეხება ტურიზმის ჩვენს დაქვემდებარებაში გადმოსვლას ახალგაზრდებთან ერთად განვიხილავთ და დავგეგმავთ რა ფორმით იფუნქციონირებს, ვფიქრობთ ურფო აქტიური და შედეგიანი იქნება ტურიზმის სფერო.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა კომისიის თავმჯდომარის მარინე ხვედელიძის წინადადება სამსახურის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 26 წევრი.

მომხრე 25

წინააღმდეგი 1

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ **სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის“ ხელმღვანელის რევაზი შერგელაშვილის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ “** გაწეული საქმიანობის შესახებ (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

მ. ხვედელიძემ საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, მან აღნიშნა, რომ კომისიის სხდომაზე განვიხილეთ აღნიშნული ანგარიში და სპორტის საქმიანობა კომისიამ დადებითად შეაფასა

ო. გაგოშიძემ ფრაქცია „ხარაგაულისთვის“ თავმჯდომარის მოადგილემ კითხვით მიმართა მომხსენებელს ტურიზმის კუთხით რამდენი თანამშრომელი იყო დასაქმებული და მათზე გაცემული ხელფასები იყო თუ არა საქმიანობის ადექვატური.

რ. შერგელაშვილმა მომხსენებელმა უპასუხა, 13 თანამშრომელი იყო დასაქმებული და სწორედ სფეროს საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით დაისვა საკითხი მისი სპორტიდან გამოყოფის თაობაზე, რაც გახიარებული იქნა მერიის მიერ და მიმდინარეობს მუშაობა რეორგანიზაციის პროცესის კანონიერ ვადებში დასასრულებლად, რათა ტურიზმის სფეროს საქმიანობაში არ შეიქმნას ვაკუუმი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა კომისიის თავმჯდომარის მარინე ხვედელიძის წინადადება სამსახურის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 26 წევრი.

მომხრე 25

წინააღმდეგი 1

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ვარლამ ჭიპაშვილის ინფორმაცია **„ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე** (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

დ. კიკნაძემ საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, სამოქალაქო ბიუჯეტის დაფინანსებული პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებით.

ვ. ჭიპაშვილმა მომხსენებელმა უპასუხა, რომ 2023 წლის პროექტები ტექნიკური მიზეზების გამო დროში გაიწელა, მაგრამ არცერთი პროექტი განუხორციელებელი არ დარჩება.

ო. გაგოშიძემ ფრაქცია „ხარაგაულისთვის“ თავმჯდომარის მოადგილემ აღნიშნა, რომ კიცხი - ვარძიის დამაკავშირებელი გზა 1 წელია რაც გაკეთდა გაუსაძლისი მდგომარეობაა, ხიდი ავარიულია და თუ იქ გამაფრთხილებელი ნიშანი არ გაკეთდება შეიძლება საშინელება მოხდეს.

ვ. ჭიპაშვილმა მომხსენებელმა უპასუხა, რომ ჩვენ მოვითხოვეთ ასფალტის გზების რეაბილიტაცია და რ,გ.ფ. მიერ 05 მლნ. ლარი მივიღეთ, რაც შეეხება ხიდს ინფორმაცია არ მაქვს დავაზუსტებ და მოგაწვდით ინფორმაციას.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი და კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 26 წევრი.

მომხრე 25

წინააღმდეგი 1

საკრებულომ გადაწყვიტა დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის კახაბერ გოლუბიანის ინფორმაცია საკითხზე **,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ” ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 სექტემბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე** (თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა დადგენილების პროექტი

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 26 წევრი.

მომხრე 25

წინააღმდეგი 1

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე _____ მანანა ბარბაქაძე